დამტკიცებულია:
შპ ს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის
დირექტორის ბრძანებით N01 / 35 14 მარტი 2023 წ.
დირ ექ ტ ო რ ი: ნესტანი აბსავა
ცვლილება: ბრძანება 01/46 25 მაისი 2023 წ.
ცვლილება: N 01/100 ;28.12.2023 წ.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

პროფესიული საგამანათლებლო პროგრამა:

ფრჩხილის მომსახურება

მისამართი: ზუგდიდი, შ. კიტიას N 9;
საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელეფონი : 577 77 85 16
ვებ გვერდი: zugdidiacademy.edu.ge
ელ.ფოსტა: zugdidisakademia@gmail.com
პროგრამისხელმძღვანელი: ნინო ზარანდია

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე** - თმისა და სილამაზის მომსახურება / Hair and Beauty Services

2. **სარეგისტრაციო ნომერი-** 10119-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - თმის და სილამაზის მომსახურებები, კოდი1012, აღმწერი - „შეისწავლის თმისა და სხეულის მოვლას".

4. **მიზანი:** პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს სილამაზის სფერო კონკურენტუნარიანი კადრით, კერძოდ, ფრჩხილის ოსტატის (მანიკური და პედიკური), სპეციალისტი.

5. **დაშვების წინაპირობა** - საბაზო განათლება

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები :**

თმისა და სილამაზის მომსახურებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია შესაბამისი კონცენტრაციის საფუძველზე დასაქმდეს შემდეგ პოზიციაზე: ფრჩხილის ოსტატი; პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 5141; 5142.
ეროვნული კლასიფიკატორის - (ეკონომიკური საახეები) კოდები: 96.02; 96.02.0

7. სტრუქტურა და მოდულები:

,,ფრჩხილის მომსახურება" ქართულენოვანი პროფესიული სტუდეტებისთვის მოიცავს 4 ზოგად მოდულს - ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 22 კრედიტის მოცულობით, 5 კონცენტრაციის მოდულს - ჯამური 18 კრედიტის მოცულობით;
ფრჩხილის მომსახურების კონცენტრაციის გავლის შემთხვევაში პირმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს 51 კრედიტი; პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 10,75 თვე .

,,ფრჩხილის მომსახურება" არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის მოიცავს 4 ზოგად მოდულს - ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 1 ქართული ენა A2 ჯამური 15 კრედიტის მოცულობით, საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 22 კრედიტის მოცულობით, 5 კონცენტრაციის მოდულს - ჯამური 18 კრედიტის მოცულობით;
ფრჩხილის მომსახურების კონცენტრაციის გავლის შემთხვევაში პირმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს 66 კრედიტი; პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 15,5 თვე .

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	მეწარმეობა 1	2
2	სამოქალაქო განათლება	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
4	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
სულ:		11

საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება	3
2.	მარკეტინგი და გაყიდვები	2
3.	ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე	3
4.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3
5.	ფრჩხილის, თმის, კანის ტიპები და დაავადებები	4
6.	სპეცხატვა და ფერთა თეორია	3
7.	დარგობრივი ინგლისური ენა	4
სულ :		22

კონცენტრაცია „თმის მომსახურების“ მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ფრჩხილის დამუშავების ტექნოლოგია	5
2.	ფრჩხილის დიზაინი	6
3.	ხელისა და ფეხის სპა პროცედურები	2
4.	პრაქტიკული პროექტი - ფრჩხილის მომსახურება	1
5.	საწარმოო პრაქტიკა - ფრჩხილის მომსახურება	4
სულ:		18

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამის სწავლის შედეგების წავლის შედეგები ფრჩხილის მომსახურების კონცენტრაციისთვის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაამუშაოს ხელისა და ფეხის ფრჩხილი;
2. დაამუშაოს ფეხის ქუსლები და კოჟრები;
3. შეასრულოს ფრჩხილების აკრილით დაგრძელება-გაფორმება;
4. შეასრულოს ფრჩხილების გელით დაგრძელება-გაფორმება;
5. შეასრულოს ფრჩხილის გამაგრება აკრილითა და გელით;
6. შეასრულოს ფრჩხილების გაფორმება თვლებითა და დამატებითი აქსესუარებით;
7. შეასრულოს ფრჩხილის გუაშით, აკრილის საღებავებით მოხატვა;
8. შეასრულოს გარქვანებული კანისა და ნუნების დამუშავება;
9. შეასრულოს ხელის (მაჯის) და ფეხის (ტერფის) მასაჟი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის მიერ ჩარჩო დოკუმენტის თმისა და სილამაზის მომსახურება/ის საფუძველზე შეიმუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფრჩხილის მომსახურება, მოდულური პროგრამის ადაპტირება/დანერგვისთვის სამართლებლივი აქტით შეიქმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირები. შემუშავებული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ზოგად, საერთო და კონცენტრაცია „ფრჩხილის მომსახურება“ მოდულებს. აღნიშნული პროგრამა არითვალისწინებს არჩევითი ტიპის მოდულებს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

პირს, კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში ან პროგრამის დასრულებამდე. ხოლო წინაპირობის მქონე მოდულების შემთხვევაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება:
- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა:
- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არუნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკაბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ყველა კრედიტი, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 გათვალისწინებული წესით.

13. ქართული ენა A2.

მოდულის, ქართული ენა A2 (30 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 28-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

14. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით

15. დანართები :

ზოგადი მოდულები:

დანართი № 1 -მეწარმეობა 1;

დანართი № 2 - ინფორმაციულიწი გნიერება 1;

დანართი № 3 - სამოქალაქო განათლება;

დანართი № 4 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია;

საერთო და პროფესიული მოდულები:

დანართი № 5 - მარკეტინგი და გაყიდვები;

დანართი № 6 - ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე;

დანართი № 7 - პირველადი გადაუდებელი დახმარება;

დანართი № 8 - ფრჩხილის, თმის, კანის ტიპები და დაავადებები;

დანართი № 9 - სპეცხატვა და ფერთა თეორია;

დანართი № 10 - დარგობრივი ინგლისური ენა;

დანართი № 11 - სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება;

პროფესიული მოდულები:

დანართი № 12 - ხელისა და ფეხის სპა პროცედურები;

დანართი № 13 - ფრჩხილის დამუშავების ტექნოლოგია

დანართი № 14 - ფრჩხილის დიზაინი;

დანართი № 15 - პრაქტიკული პროექტი - ფრჩხილის მომსახურება;

დანართი № 16 - საწარმოო პრაქტიკა - ფრჩხილის მომსახურება ფრჩხილის დამუშავების ტექნოლოგია;

ქართული ენის მოდული:

დანართი N 17 - ქართული ენა A 2

დანართი №18 - ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;

დანართი № 19 - სასწავლო გეგმა;

დანართი № 20 - მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

დანართი № 21- ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციის შესახებ;